

# eDocument

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა



## eDocument

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა  
კვალიფიციური შტამპის სახელმძღვანელო

## კვალიფიციური შტამპის გამოყენებისთვის კომპიუტერის/ების ტექნიკური გამართვა

იმისათვის, რომ დოკუმენტბრუნვის სისტემაში განხორციელდეს დოკუმენტის კვალიფიციური შტამპით დადასტურება საჭიროა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან შეიძინოთ და გამართოთ კვალიფიციური ელ. შტამპის ბარათი, ბარათის წამკითხველი (Card Reader) და მომხმარებლის კომპიუტერზე ტექნიკურად დააყენოთ შემდეგი პლაგინები და სერთიფიკატები:

- **eBridge** - პლაგინების პლატფორმა - გადმოწერა შესაძლებელია დოკუმენტბრუნვის სისტემიდან;
- **eSignature** - ელ. ხელმოწერის კლიენტის პლაგინი - გადმოწერა შესაძლებელია დოკუმენტბრუნვის სისტემიდან;

## კვალიფიციური შტამპის ბარათის რეგისტრაცია და უწყების თანამშრომელთა დაკავშირება დოკუმენტბრუნვასთან

დოკუმენტბრუნვასთან კვალიფიციური შტამპის ბარათის რეგისტრაციისა და უწყების თანამშრომელთა დაკავშირებისათვის საჭიროა სსიპ საფინანსო ანალიტიკურ სამსახურის ელ-ფოსტაზე 1551 @mof.ge-ზე გამოაგზავნოთ შემდეგი ინფორმაცია:


- ✓ **ბარათის მონაცემები:**
  - ბარათის N
  - სახელი
  - კოდი
  - გაცემის თარიღი
  - მოქმედების ვადა



- ✓ უწყების თანამშრომელთა მონაცემები (სახელი, გვარი, პ/ნ), რომლებიც მოახდენენ დოკუმენტის კვალიფიციური შტამპით დადასტურებას.


საფინანსო ანალიტიკური სამსახური მოახდენს დოკუმენტბრუნვაში კონკრეტული უწყების ბარათის რეგისტრაციას და ამ ბარათთან შესაბამისი პირების დაკავშირებას.

შედეგად, დაკავშირებულ თანამშრომლებს მოდულში დოკუმენტები გაუაქტიურდებათ კატეგორია - **ელ. შტამპით დასადასტურებელი**.




### კვალიფიციურ შტამპზე დოკუმენტის გადაგზავნა

აღნიშნულ კატეგორიაში მოხვდება ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოდულიდან დოკუმენტები კატეგორია გასულიდან გაიგზავნება დილაკზე დაჭერით - **შტამზე გადაგზავნა**.



მიიღებთ დიალოგურ ფანჯარას შევითხვით: დარწმუნებული ხართ რომ გსურთ დოკუმენტის ელ. შტამპით დასადასტურებლად გადაგზავნა?




დიახ-ზე დაჭერით მიიღებთ ინფორმაციას ტექსტით - შტამზე გადაგზავნა დასრულდა წარმატებით.

დოკუმენტი მოხვდება მოდულში დოკუმენტები კატეგორია - ელ. შტამპით დასადასტურებლის რეესტრში, ასევე კატეგორიაში - გასული და მიენიჭება სტატუსი - ელ. შტამპით დასადასტურებელი 📌.


### კვალიფიციურ შტამპზე დოკუმენტის გადაგზავნის გაუქმება

ელ. შტამპით დასადასტურებელ რეესტრში გადაგზავნილი დოკუმენტი ვიდრე დადასტურდება კვალიფიციური შტამპით შესაძლებელია მისი უკან დაბრუნება.


ამისათვის მოდულიდან დოკუმენტები კატეგორია გასულიდან და კატეგორია - ელ. შტამპით დასადასტურებელი დააჭირეთ ღილაკს - შტამპზე გადაგზავნის გაუქმება.



მიიღებთ შეკითხვას გადაგზავნის გაუქმების შესახებ.



დიახ-ზე დაჭერით მოდულში დოკუმენტები კატეგორია გასულის და კატეგორია ელ. შტამპით დასადასტურებლის რეესტრში დოკუმენტს მიენიჭება სტატუსი - ელ. შტამპის მოთხოვნა გაუქმებულია.




შტამპზე გადაგზავნის და გადაგზავნის გაუქმების უფლება ექნება ყველა საქმისწარმოების თანამშრომელს, ხოლო **შტამპით დადასტურება** მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ექნებათ აღნიშნული უფლება ჩართული.

### კვალიფიციური შტამპით დოკუმენტის დადასტურება


**შტამპით დადასტურება** შესაძლებელია როგორც გასულის რეესტრიდან და გასულის სარეგისტრაციო ფანჯრიდან ასევე ელ. შტამპით დასადასტურებლის რეესტრიდან.

გასატარებელ კორესპონდენციაში გასული წერილი გაატარეთ, შტამპის ბარათი მოათავსეთ ბარათის წამკითხველში და იარაღების პანელზე აირჩიეთ **შტამპით დადასტურება**.




შედეგად მიიღებთ კვალიფიციური შტამით დადასტურების დიალოგურ ფანჯარას. წარმატებით გამართვის შემთხვევაში გააქტიურდება შესაბამისი სერტიფიკატი. საბოლოოდ დააჭირეთ დადასტურებას.






მიღებულ ფანჯარაში შეიყვანეთ წინასწარ გააქტიურებული პაროლი და დააჭირეთ OK.



მოდულში დოკუმენტები კატეგორია გასულის და კატეგორია ელ. შტამპით დასადასტურებლის რეესტრში დოკუმენტს მიენიჭება სტატუსი - ელ. შტამპით დადასტურებული - .

# მომხმარებლის სახელმძღვანელო

## საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა



საინფორმაციო ბარათში დოკუმენტები სტატუსების ისტორიაში იხილავთ დადასტურების დეტალურ შედეგებს.




კვალიფიციური ელ. შტამპის სტატუსების ისტორია

ცვლილების ავტორი	სტატუსი	ცვლილების დრო
[icon]	ელ. შტამპით დადასტურებული	26.06.2018 16:23
[icon]	ელ. შტამპით დადასტურებული	26.06.2018 16:23

კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურებული დოკუმენტის დეტალების სანახავად, საჭიროა გადმონეროთ დოკუმენტი თქვენს კომპიუტერში. გადმონერილი ფაილის დათვალიერებით გახსნის დროს მარცხენა მხარეს აისახება კვალიფიციური ელ. შტამპის დეტალები.

თუ არ ჩანს ეს დეტალები :

მარჯვენა მხარეს დააჭირეთ ჩანაწერზე: “Signature Panel” შესაბამისად მარცხენა მხარეს გაიხსნება აღნიშნული ინფორმაცია.





საფინანსო  
პალიტიკური  
სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური  
გორგასლის ქუჩა 16, თბილისი 0114, საქართველო

☎ 1551

✉ 1551@mof.ge

🌐 [www.fas.ge](http://www.fas.ge)